# პროფესიული მომზადების პროგრამა:
# “კლასიკური მასაჟი”

## <u>გარანტირებული დასაქმება!</u>

- პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს მიაწოდოს კვალიფიციური კლასიკური მასაჟის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარების საფუძველზე ხარისხიანად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. ასევე, პროგრამის მიზანია, მსმენელებში განავითაროს ისეთი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლებიც დაეხმარებათ მათ დასაქმებაში/თვითდასაქმებაში;

- ხანგრძლივობა კვირებში: 10 კვირა (120 საათი);

- კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 12 სთ;

- მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 6 მაქსიმალური 8;

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება (18 წელი).

# კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მასაჟის ზოგადი პრინციპების განმარტება და სამუშაო გარემოს ორგანიზება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით, კანის დამუშავების წესების და მასალის აღწერა, შესაბამისი პროცედურის თანახმად;
- ადამიანის ანატომიის ძირითადი პრინციპების აღწერა;
- ორგანიზმზე მასაჟის ზეგავლენის ნიშნების დადგენა და მდგომარეობის შესაბამისად, სამასაჟე მოძრაობების ინტენსივობის შერჩევა (კუნთების დაჭიმულობა, მოდუნება), მასაჟის კლასიფიკაციისა და კლასიკური მასაჟის ჩატარების წესების აღწერა;
- საჭიროების შემთხვევაში პაციენტისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარება, კომპეტენციის ფარგლებში;
- კლასიკური მასაჟის ილეთების გამოყენება/კლასიკური მასაჟის ჩატარება (თელვა, სრესვა, ხელსმა, რხევები, დარტყმითი მოძრაობები, აქტიური და პასიური მოძრაობები);
- უცხოურ ენაზე (ინგლისური ენა A2 – elementary – ელემენტარული) მარტივი კომუნიკაცია.

# პროგრამის მოკლე აღწერა

- პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლება და სურს მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები.
- პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა, რაც მოიცავს 120 საათს (კვირეული საათობრივი დატვირთვა 12 საათი).
- პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას.
- პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას და სწავლება ხორციელდება სასწავლებლის ბაზაზე.
- კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს სპორტულ დარბაზებსა და სპორტულ კლუბებში, აუზებზე – კლასიკური მასაჟის კაბინეტის არსებობის შემთხვევაში. ესთეტიკურ ცენტრებში, სპა ცენტრებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სასტუმროებში, კურორტებზე, ველნეს ცენტრებში. ასევე, ექნება თვითდასაქმების შესაძლებლობაც.
- პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით.